პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 23 აპრილი, 1950 წ. № 84 (8644). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ზრუნვა მშრომელთა საზაფხულო დასვენებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი და მე-2 გვერდი).
გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი (მე-2 გვერდი).
საქდესის ცნობა (მე-2 გვერდი).
სანიმუშოდ მოვაწყოთ მშრომელთა საზაფხულო დასვენება! (მე-3 გვერდი).
საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ზრუნვა მშრომელთა საზაფხულო დასვენებისათვის

ახლოვდება ზაფხული, წელიწადის ის დრო, როდესაც საბჭოთა ადამიანები გამოიყენებენ რა სტალინური კონსტიტუციით მათთვის მინიჭებულ დასვენების უფლებას, მასობრივად მიაშურებენ სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, აგარაკებსა და ტურისტულ ბაზებს. სწორედ ამიტომ საჭიროა ახლავე ვიზრუნოთ, რომ მშრომელთა საზაფხულო დასვენება ჩავატაროთ ორგანიზებულად და უკეთესად, ვიდრე შარშან.

საქართველოს კურორტები განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში. ისინი ჯანმრთელობის ნამდვილ კერას წარმოადგენენ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელისათვის. ეს გარემოება გვავალებს შევქმნათ ისეთი პირობები, რომ „უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ჯანმრთელობის აღსადგენად ჩვენი კურორტების ყველა სამკურნალო ფაქტორის — მინერალური წყლების, მთისა და ზღვის ჰაერის, მზის სხივების მოქმედების სრულად გამოყენება" (კ. ჩარკვიანი).

[illegible]

ძნელი წარმოსადგენია ამოჩნდეს წარმოების სხვა ისეთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელსაც თავის ფუნქციად არ მიაჩნდეს ადამიანებზე ზრუნვა, რომელიც დაინტერესებული არ იყოს თავის ხელმძღვანელობაში მყოფი საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თავისი „ფუნქციებით გატაცებული" დირექტორის ამხ. ე. ლავთაძის უყურადღებობის შედეგად მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მოთხოვნები სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებზე ჯერაც არ არის გაგზავნილი სათანადო ორგანოებში. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა მარტო პროფორგანიზაციის საქმე როდია. ის, პირველ რიგში, საწარმოს დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის საქმეა.

ყოველწლიურად, ზაფხულის სეზონში, თბილისის მშრომელები დასასვენებ- [illegible]

[illegible] სათვის, ან რამდენი კაცი გაიგზავნება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, მან უპასუხა: „ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს საკითხი ჩემს ფუნქციებში არ შედის. ამ საქმეს პროფორგანიზაცია ხელმძღვანელობს და მას მიმართეთო".

[illegible] ვის, რომ კულტურულად დასვენებისა და ჯანმრთელობის აღდგენის შემდეგ, საბჭოთა ადამიანებმა გაორკეცებული ენერგიით განაახლონ მძლავრი შემოქმედებითი შრომა კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩაის ნედლეულის გადამუშავება დაიწყო

წულუკიძე. (ტელეგრაფით). ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. კარსანიძე) 22 აპრილისათვის გაანაღდა სამაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. ფაბრიკა მომზადებული შეხვდა ჩაის ფოთლის ნედლეულის გადამუშავების ახალ სეზონს.

ფაბრიკის გამტარუნარიანობის გადიდების მიზნით მთავარ კორპუსს დაედგა მესამე სართული, რაც უზრუნველყოფს ორჯერ მეტ ჩაის მზა პროდუქციის გამოშვებას, ვიდრე 1948 წელს.

21 აპრილს ფაბრიკამ გადასამუშავებლად მიიღო პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

მოგებათა ტირაჟი

23 აპრილს შედგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოგებათა ტირაჟი.

სესხის 228 თანრიგზე გათამაშდება 524.719.200 მანეთის 1.966.500 მოგება. მოგებათა შორის არის 228 მოგება თითო ორმოცდაათი ათას მანეთიანი, 456 — თითო ოცდახუთი ათას მანეთიანი, 1.140 — თითო ათი ათას მანეთიანი, 2.280 — თითო ხუთი ათას მანეთიანი, 22.800 — თითო ათას მანეთიანი, 228.000 — თითო 500 მანეთიანი და 1.711.596 მოგება თითო 200 მანეთიანი.

ტირაჟი შედგება ქალაქ ჩერნიგოვში. (საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

„სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ*

III

ქვიშნარის დამაგრება და გატყევება

6. სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობებმა და ტყესაცავმა სადგურებმა 1949 წელს დაამაგრეს და გაატყევეს 32,8 ათასი ჰექტარი ქვიშნარი ანუ გეგმის 146 პროცენტი. ქვიშნარის დასამაგრებელი სამუშაოები ყველაზე წარმატებით ჩატარდა უკრაინის სს რესპუბლიკაში, ვორონეჟის, ასტრახანის, სტალინგრადის, გროზნოს ოლქებსა და სტავროპოლის მხარეში.

მთელ რიგ რაიონებში ქვიშნარის გატყევებისა და დამაგრების სამუშაოებს თან ახლდა არსებითი ნაკლოვანებანი. ქვიშნარის გასატყევებლად ნაკვეთების შერჩევა ხდებოდა არასაკმაო დასაბუთებით. ირღვეოდა ხის ჯიშების შერევის წესები, არ იყო დაცული ჰექტარზე ნათესარი ნერგების დარგვის ნორმები. საკმაოდ არ იყო გამოყენებული ბალახების თესვა ქვიშნარის დამაგრებისათვის და ქვიშნარი ფართობების საძოვარ და სათიბ სავარგულებად გადაქცევისათვის.

7. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ, რომ აუცილებლად შესრულდეს ქვიშნარის დამაგრებისა და გატყევების 1950 წლისათვის დადგენილი გეგმა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შემდეგი ოდენობით:

(ჰექტარობით)

	ფართობი
ვორონეჟის ოლქი	6.300
კურსკის ოლქი	3.800
ორიოლის ოლქი	800
ტამბოვის ოლქი	3.600
რიაზანის ოლქი	800
მორდვეთის ასსრ	600

(ჰექტარობით)

	ფართობი
ასტრახანის ოლქი	6.300
კუიბიშევის ოლქი	1.400
სარატოვის ოლქი	2.100
ჩკალოვის ოლქი	100
სტალინგრადის ოლქი	3.300
ბაშკირეთის ასსრ	300
ულიანოვსკის ოლქი	500
თათრეთის ასსრ	400
პენზის ოლქი	300
როსტოვის ოლქი	3.400
სტავროპოლის მხარე	3.100
გროზნოს ოლქი	1.900
უკრაინის სსრ	34.000

ქვიშნარის გატყევება და დამაგრება პირველ რიგში მოხდეს იმ ადგილებში, სადაც მოძრავი ქვიშა უშუალო საფრთხეს უქმნის კოლმეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მინდვრის სავარგულებს.

8. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სტავროპოლის სამხარეო აღმასკომს, ასტრახანის, გროზნოს და სტალინგრადის საოლქო აღმასკომებს, აგრეთვე მრავალწლიანი კულტურების სტავროპოლის საცდელ მინდორს მიიღონ ზომები სორგო-შალაფას ჰიბრიდის თესლის მოყვანის საქმის გასაუმჯობესებლად, რათა ეს ჰიბრიდი დაითესოს ქვიშნარში.

9. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს და დამზადებათა სამინისტროს უზრუნველყონ 1950 წელს სორგო-შალაფას ჰიბრიდის, უდაბნოს კაპუეტას და სხვა ბალახების თესლის საჭირო რაოდენობით დამზადება, რათა ეს თესლი დაითესოს ასტრახანის, გროზნოს, სტალინგრადის ოლქებისა და სტავროპოლის მხარის მოძრავ ქვიშნარებში.

IV

ხე-ბუჩქნარის ჯიშების თესლის დამზადება და სარგავი მასალის გამოყვანა სახელმწიფო, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყის სანერგეებში

10. აღინიშნოს, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა [illegible] ბით, მათ შორის რკოსი 80 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან: სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროსათვის — 46,9 ათასი ტონა, მათ შო- [illegible]

[illegible]

დ) უზრუნველყონ ხე-ბუჩქნარი ჯიშების თესლის სათანადო მომზადება თესვისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რკოს სწორ გალივებასა და დროულად დათესვას.

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 83.

V

ძირითადი აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარება

13. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან დათესეს 2.400 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1948 წელს.

ამასთანავე მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლ- [illegible]

[illegible] კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების იმ ნაწილის შესრულება, რომელიც ითვალისწინებს 1949 წლიდან ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გადასვლას მარცვლეული კულტურების მთლიანად ჯიშიანი თესლით თესვაზე. [illegible]

VI

რწყვის განვითარება. გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობა

16. სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1949 წელს მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა რწყვის განვითარებისა და გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის დარგში. ცენტრალური შავმიწიანი ოლქების (კურსკის, ვორონეჟის, ორიოლისა და ტამბოვის ოლქები) კოლმეურნეობებში ამა წლის 15 აპრილისათვის აგებულია სარწყავი სისტემები და სარწყავად მომზადებულია 55 ათასი ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის სხვა ველიან და ტყეველიან რაიონებში მოსარწყავად მომზადებულია 67,7 ათასი ჰექტარი მიწა, აღდგე- [illegible] გუბურა და წყალსატევი, და შედგენილია 4.010 გუბურისა და წყალსატევის ტექნიკური პროექტები.

გასულ წელს გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოები წარმატებით ჩაატარეს სარატოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც კაპიტალურად შეკეთდა, აღდგენილ იქნა და მოეწყო 826 გუბური და წყალსატევი, მათ შორის ხელახლა მოეწყო 599 გუბურა და წყალსატევი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 164-სა. როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეაკეთეს, აღადგინეს და მოაწყეს 303 წყალსატევი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 209 წყალსატევი. რიაზანის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოაწყეს 354 და კაპიტალურად შეაკეთეს 561 წყალსატევი.

ამავე დროს მთელი რიგი ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებში სათანადოდ არ აფასებენ თვითდინებით რწყვას წყალსატევების მშენებლობის ბაზაზე და მთლიანად არ იყენებენ სარწყავ მიწებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესავად. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფ- [illegible]

[illegible] ლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს უზრუნველყონ 1950 წელს:

ა) 7.035 გუბურისა და წყალსატევის მოწყობა კოლმეურნეობებში, 502 გუბურისა საბჭოთა მეურნეობებში;

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

„სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

(დასასრული)

ბ) სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში 88,8 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწის მოქცევა, ლიმანური რწყვის აღდგენა 15,6 ათას ჰექტარ ფართობზე და ახალი ლიმანების მოწყობა 23,5 ათას ჰექტარ ფართობზე;

გ) სარწყავ სისტემათა ექსპლოატაციის გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესავად სარწყავი მიწების სრული გამოყენება;

დ) მანქანა-ტრაქტორთა და ტყესაცავი სადგურების მიერ კოლმეურნეობებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა გუბურებისა და წყალსატევების მოწყობაში და კოლმეურნეობებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და ტყესაცავ სადგურებთან წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოთა ჩასატარებლად ხელშეკრულებათა დროულად დადება.

VII

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, ტყის ნარგავების გაშენებისა და გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის მექანიზაცია

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა 1949 წელს მოაწყეს 119 ტყესაცავი სადგური.

1949 წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე ყველა ტყესაცავი სადგური დაკომპლექტებული იყო ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, აგრეთვე მექანიზატორთა კადრებით. ტყესაცავ სადგურებში გაიგზავნა 1.500-ზე მეტი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და სატრაქტორო ბრიგადების 7.500 ბრიგადირი, ტრაქტორისტი, მემანქანე და სხვა მუშაკი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყესაცავ სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში აგროტყესამელიორაციო ბრიგადებისათვის შეტანილია ყველა მარკის 5.139 ტრაქტორი, 5.143 ტრაქტორის გუთანი, 4.095 კულტივატორი და სათესი, 3.694 ტყესარგავი და ტყესათესი მანქანა, 801 ავტომანქანა, 294 მოძრავი ავტოსახელოსნო, 472 მიწის სათხრელი მანქანა და ბევრი სხვა მოწყობილობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყესაცავმა სადგურებმა შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა.

ამასთან ერთად ტყესაცავი სადგურებისა და მტს-ების სამუშაოთა ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრმა ტყესაცავმა სადგურმა, განსაკუთრებით კურსკის, ტულის, ულიანოვსკის ოლქებში და მორდვეთის ასს რესპუბლიკაში, ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა და ვერ უზრუნველყო ტყის ნარგავების დროზე მოვლა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას გუბურებისა და წყალსატევების მოწყობისას მიწის სამუშაოთა შესრულებაში. სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მხრივ ტყესაცავი სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი სუსტი კონტროლის შედეგად იყო აგროტექნიკური ვადების დარღვევისა და სამუშაოთა ცუდი ხარისხის ფაქტები. ტყის მექანიზებული რგვის გეგმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით შესრულებულია 80 პროცენტით და ტყის ზოლების მოვლისა—79 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით ტყის მექანიზებული რგვის გეგმა შესრულებულია 83 პროცენტით და ტყის ნარგავების კულტივაციისა — 58 პროცენტით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყესაცავმა სადგურებმა კაპიტალდაბანდებათა გეგმა შეასრულეს სულ 49,6 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს ტყესაცავი სადგურებისათვის ზოგიერთი მანქანა-იარაღის დროზე მიწოდება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო, მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ტყესაცავი სადგურების მუშაობას და არ იღებენ სათანადო ზომებს მათი სამეურნეო მოწყობისა და საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

19. ტყესაცავი სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციის მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების საოლქო და სამხარეო აღმასკომებს:

ა) აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ტყესაცავი სადგურების მუშაობაში და გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მათი საწარმოო საქმიანობისადმი, საჭირო დახმარება გაუწიონ ტყესაცავ სადგურებს მათს ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში;

ბ) გააძლიერონ კონტროლი ტყესაცავი სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი, უზრუნველყონ გეგმის აუცილებლად შესრულება და მიაღწიონ იმას, რომ ყველა სატრაქტორო სამუშაო ზუსტად სრულდებოდეს დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში და კარგი ხარისხით. ტყესაცავი სადგურების მუშაობის შეფასებისას აუცილებლად გაითვალისწინონ მინდორსაცავი ტყის ნარგავების გახარება იმ კოლმეურნეობებსა და სატყეო მეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ;

გ) 1950 წელს მოაწყონ 191 ტყესაცავი სადგური, აქედან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 80 სადგური და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს 111 სადგური. დააზუსტონ მოსაწყობი ტყესაცავი სადგურების მომსახურების რაიონები, გამოუყონ მათ საჭირო შენობები, დააკომპლექტონ ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრებით და კვალიფიციური მუშებით, საჭირო რაოდენობით შეიტანონ ტრაქტორები, მანქანები და საწვავი და უზრუნველყონ 1950 წელს ტყის თესვის, რგვისა და ტყის ნარგავების მოვლის დარგში კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულება;

დ) მიიღონ ზომები ტყესაცავი სადგურების მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაუმჯობესებისათვის, ტრაქტორების გადაყვან-გადმოყვანისა და მოცდენის შემცირებისათვის, აგრეთვე თვითეული ტრაქტორისტის მიერ გამომუშავების დაწესებული ცვლის ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ე) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყესაცავი სადგურების მუშაობა მოაქციონ ნაკლები რაოდენობის კოლმეურნეობებში, დააკისრონ ამ სადგურებს 1950 წლის გაზაფხულიდან ტყის რგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის დარგში სამუშაოთა შესრულებასთან ერთად ხრამების გატყევების სამუშაოთა, აგრეთვე ყველა იმ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ასრულებენ; დაამთავრონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყესაცავი სადგურების საქმიანობის ზონების დაზუსტება, გამორკვიონ იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, და დააწესონ ტყის რგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოთა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა;

ვ) დააკისრონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს იმ კოლმეურნეობებში ტყის ზოლების თესვისა და რგვის სამუშაოები, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ ტყესაცავი სადგურები, აგრეთვე გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოები, მიწის სათხრელი მანქანებით მათი აღჭურვის მიხედვით.

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა საკითხი საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობისა და 1950 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. კულუხოვი.

შარშან ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. წარმატებით იქნა განაღდებული ხეხილის გაშენების დავალებანი, საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმები. შესამჩნევად გაიზარდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი.

კოლმეურნეობების მუშაობაში იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ზოგან დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ეს გამოიწვია იმან, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის დროს არ იცავენ აგროწესებს. სუსტია შრომის დისციპლინა. გასულ წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია ბევრ შრომისუნარიან კოლმეურნეს. ზოგ კოლმეურნეობაში ამ მხრივ მიმდინარე წელსაც არასახარბიელო მდგომარეობაა.

დღემდე ვხვდებით საკოლმეურნეო მიწების მითვისების შემთხვევებს. ზნაურის რაიონის სოფელ ხუნდისუბნის კოლმეურნეობის 6 წევრს მითვისებული აქვს კოლმეურნეობის 1,9 ჰექტარი მიწა. ასეთი ფაქტები არის სტალინირის რაიონის სოფელ ქსუისის, ხელჩუას, გუჯაბარის და სხვა კოლმეურნეობებშიც.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მიმდინარე წელს კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომ ამოცანებზე.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ ამხ. რ. ლაზარაშვილმა ილაპარაკა ზნაურის რაიონში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე. მან აღნიშნა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოები სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით, უხარისხოდ მიმდინარეობს. ჭიანურდება ერთწლიანი ბალახების თესვა, რაიონის ხელმძღვანელობის მხრივ არ ჩანს კონკრეტული დახმარება ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი.

სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებმა,—თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ცხოვრებოვმა, — მიმდინარე გაზაფხულზე უნდა დათესონ 2.044 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შემოდგომის პურეულის გაპატივება დადგენილ ვადებში. ცალკეული კოლმეურნეობები ამ სერიოზულ ღონისძიებას გულგრილად ეკიდებიან. შემოდგომის პურეულის ნათესის გაპატივების საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ვანათის, საცხენეთის, ძარის, კოხათის კოლმეურნეობები.

ა. ცხოვრებოვმა არაფერი თქვა სტალინირის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობაზე, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობაზე მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ კი რაიონში ყველაფერი რიგზე როდია.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ე. ჯიოევმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შესუსტდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. სტალინირის რაიონის გრომის, ბიყარის, ჯავის რაიონის თედელეთის, კიროვის და სხვა სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ აგიტატორებმა თითქმის მთლიანად შეწყვიტეს მუშაობა. პირველადი პარტორგანიზაციები და პარტიის რაიკომები კი დღემდე ურიგდებიან ამ მდგომარეობას.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიის ჯავის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფი. მომხსენებელთა დიდი უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს. მშრომელთა დეპუტატების ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ქ. კულუხოვი, კომკავშირის ჯავის რაიკომის მდივანი ვ. ხასიევი და სხვები კოლმეურნეობებში არ გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით.

ე. ჯიოევმა მრავალი კონკრეტული მაგალითი დაასახელა იმის ნათელსაყოფად, რომ პრესის სიგნალებს სათანადოდ არ ეხმაურებიან ხელმძღვანელი ამხანაგები ზნაურის და ჯავის რაიონებიდან.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. კოლიევმა ილაპარაკა პარტიის სტალინირის რაიკომისა და სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს მუშაობის ნაკლოვანებებზე საკოლმეურნეო კადრების სწორად განაწილებისა და აღზრდის საქმეში. ოლქში ჯერ კიდევ ხშირია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შეცვლის შემთხვევები.

— კოლმეურნეობათა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება, — ამბობს ამხ. ი. კოლიევი, — ბევრად არის დამოკიდებული საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. თუ სტალინირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ეს იმიტომ, რომ პარტიის სტალინირის რაიკომი დღემდე სუსტად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებს.

ი. კოლიევმა გააკრიტიკა მშრომელთა დეპუტატების ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი თავმჯდომარის ბ. პლიევის მუშაობის უვარგისი სტილი. რაიაღმასკომის სხდომებზე საკითხების განხილვა იქ ხშირ შემთხვევაში მაშინ ხდება, როცა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების ვადები უკვე გასულია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივანმა ვ. სანაკოევმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ, იმეორებენ რა გასული წლის შეცდომებს, უხეშად არღვევენ საგაზაფხულო ხვნა-თესვის აგროწესებს ზნაურის რაიონის ისაკყაურს, თილევის, ზემო ოქონის, ნედლათის და სხვა კოლმეურნეობები.

ვ. სანაკოევი მხოლოდ გაკვრით შეეხო ზნაურის საკოლმეურნეო სოფლებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობის საკითხს, არაფერი უთქვამს ამ მხრივ რაიონის პარტორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. თიბილოვმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ძლიერ დაბალ დონეზე დგას კოლმეურნეობათა აგრომომსახურება. უბნის აგრონომების დიდი ნაწილი ძირითადად დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ცნობების შეგროვებით. საკანცელარიო მუშაობით არიან გადატვირთული სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა სპეციალისტები, თავიანთ ნამდვილ მოვალეობას კი არ ასრულებენ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივანმა დ. ვალიევმა, მშრომელთა დეპუტატების ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ს. დარსაველიძემ, ქსუისის მტს-ის დირექტორმა თ. გოგიჩაიშვილმა, სტალინირის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ვალიევმა, საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. მიროტაძემ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ. მან ილაპარაკა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან გამომდინარე ამოცანებზე, დაწვრილებით შეჩერდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგებზე, გააკრიტიკა საოლქო საბჭოს აღმასკომის და მისი ზოგიერთი განყოფილების, აგრეთვე პარტიის ზნაურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა კოლმეურნეობებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ფერმის მუშაკთა სემინარი

ბორჯომი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ ამ რამდენიმე დღის წინათ მოაწყო მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა სემინარი.

სოფლის მეურნეობის განყოფილების სპეციალისტებმა დ. ბარამიძემ, შ. აბაშიძემ, ი. ლურსმანაშვილმა და სხვებმა სემინარის მონაწილეებს წაუკითხეს ლექციები შემდეგ საკითხებზე: მეცხოველეობის ფერმა და მისი ამოცანები, შრომის ორგანიზაცია ფერმაში, ცხენის მოვლა-პატრონობა და მისი წესიერი ექსპლოატაცია, აღრიცხვიანობა ფერმაში და სხვ.

საქდესის ცნობა

საბჭოთა კავშირიდან იაპონელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის დამთავრების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის 1949 წლის 20 მაისის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ 1949 წლის მაისისათვის იაპონელ სამხედრო ტყვეთა დიდი უმრავლესობა რეპატრიირებული იყო საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში და რომ დანარჩენი სამხედრო ტყვეები 95.000 კაცის რაოდენობით რეპატრიირებულ უნდა იქნენ 1949 წლის განმავლობაში, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გამოძიებაში იმყოფებიან მათ მიერ სამხედრო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამჟამად საბჭოთა ორგანოებმა დაამთავრეს რეპატრიაცია დარჩენილი იაპონელი სამხედრო ტყვეებისა, რომლებზეც ლაპარაკი იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის 1949 წლის 20 მაისის განცხადებაში. რეპატრიირებულ არ არის 1487 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებიც მსჯავრდადებული არიან და გამოძიებაში იმყოფებიან მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულისათვის, 9 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებიც რეპატრიირებულ იქნებიან მკურნალობის დამთავრების შემდეგ, და 971 იაპონელი სამხედრო ტყვე, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ჩინელი ხალხის წინააღმდეგ და რომლებიც გადაეცემიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

სულ იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში რეპატრიირებულ იქნა 510.409 იაპონელი სამხედრო ტყვე, გარდა 70.880 სამხედრო ტყვისა, რომლებიც 1945 წელს განთავისუფლებულ იქნენ უშუალოდ საომარი მოქმედების რაიონში.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 19 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას და შეთანხმებას 1950 წლის საქონელბრუნვის შესახებ.

საქონელბრუნვის შესახებ შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირი ჩინეთს მიაწვდის მოწყობილობას, ხოლო ჩინეთი საბჭოთა კავშირს — ნედლეულს.

ამავე დროს ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ამა წლის 14 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე მიცემული კრედიტის ანგარიშში 1950-1952 წლებში მოწყობილობისა და მასალების მიწოდების შესახებ.

შეთანხმებასა და ოქმს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის მხრივ საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მენშიკოვი, ჩინეთის მხრივ ცენტრალური სახალხო მთავრობის ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ე ძიჯუანი.

იბრძვიან უხვი მოსავლის მიღებისათვის

საკოლმეურნეო მინდვრებზე შემოდგომის ხორბლის ჯეჯილი აბიბინდა. თელავის რაიონის ათასობით კოლმეურნე დილიდან საღამომდე თავდადებით შრომობს. ისინი იბრძვიან ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. 1.200 ჰექტარი ჯეჯილი უკვე გაპატივებულია მინერალური სასუქით. საკოლმეურნეო მინდვრებში შეტანილია ათი ათას ტონაზე მეტი ორგანული სასუქი. სწრაფად მიმდინარეობს ჯეჯილის ფარცხვა.

თელაველებმა დროულად და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას თესვის გეგმა. გაჩაღდა სიმინდის თესვა. 15 აპრილისათვის დათესილი იყო 1.700 ჰექტარზე მეტი სიმინდი. გეგმით უნდა დათესონ 3.200 ჰექტარი.

კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან რაიონში უხვი მოსავალი მოიყვანა და შრომადღეზე 5 კილოგრამზე მეტი მარცვლეული გაანაწილა. წელს ამ კოლმეურნეობას საუკეთესოდ მოვლილი ჯეჯილი აქვს და ყოველ ღონეს ხმარობს ხორბლის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის.

კურდღელაურელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სანიორელები. სანიორის კოლმეურნეობა „პირველ მაისში" გაჩაღდა ენერგიული მუშაობა. კოლმეურნეობას 152 ჰექტარი შემოდგომის ნათესი აქვს. უკვე დაფარცხეს 50 ჰექტარი, შეიტანეს მინერალური სასუქი, მარგვლიან საჭიროების მიხედვით. გეგმის გარეშე დათესეს 8 ჰექტარი მზესუმზირა, 10 ჰექტარი შვრია. სიმინდის თესვას აქ ამ დღეებში დაამთავრებენ.

კოლმეურნეობას კარგად მოვლილი ვენახები აქვს. წელს მავთულზე ააკრეს 40 ჰექტარი ვაზი. მინდვრად გატანილია 200 ტონაზე მეტი ნაკელი. მევენახეები პირობას იძლევიან 55 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 60 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 20 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე—110 ცენტნერი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ს. ნონიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაამთავრა საგაზაფხულო კულტურების თესვა, კარგად უვლის ჯეჯილს. ეს ბრიგადა შეტანილია საპატიო დაფაზე. საუკეთესოდ მუშაობს მევენახე ა. მარგალიტოვი, რომელმაც მარტში 55 შრომადღე გამოიმუშავა. კომუნისტი ა. აბრამიშვილი 1,5 ჰექტარ ვენახს უვლის. მან უკვე დაამთავრა ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები.

სანიორის კოლმეურნეობა შარშან გახდა მილიონერი. თუ 1948 წელს შრომადღეზე აქ გაანაწილეს 2 კილოგრამი მარცვლეული, 1949 წელს გასცეს 2,6 კილოგრამი. წელს ნავარაუდევი აქვთ გაანაწილონ 4 კილოგრამამდე მარცვლეული. კოლმეურნეობა წელს პირველად დათესავს ერთ ჰექტარ ღომს. აქ ყოველდღიურად სამუშაოზე გამოდის 200-ზე მეტი კოლმეურნე.

კარგად მუშაობს სოფელ ართანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ხვნა უკვე დაამთავრეს, მალე დაამთავრებენ სიმინდის თესვას. რეჰანის დასარგავად მოამზადეს 21 ჰექტარი. კარგად მიმდინარეობს ვენახის სამუშაოები. ვენახის მთელ ფართობზე დამთავრდა პირველი ხვნა, ძირების გამობარვა, შტამბის დასუფთავება. მომზადებული აქვთ 21.000 ცალი სარი. წელს ვაზი გამართული იქნება მავთულზე.

მევენახე ა. მამუკაშვილს 1,5 ჰექტარი ვენახი აქვს მიჩენილი. მან დროულად გაამზადა 1.100 სარი, გააბა მავთული, უკვე დაამთავრა ძირების გამობარვა, ხვნა. დაწინაურდნენ სტახანოველები მ. ქიტოშვილი, რ. ბაჩიაშვილი, მერგოლური ფ. ბურჯანაძე, რომელმაც შარშან 1,5 ჰექტარზე 11 ტონა ყურძენი მოიწია.

წინ მიდიან ის ბრიგადები, რომლებსაც ა. გაიპარაშვილი, ვ. ვარდოშვილი ხელმძღვანელობენ.

კარგად მუშაობს კომკავშირელი ახალკაციშვილი, რომელმაც შარშან 0,5 ჰექტარზე 39 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კოლმეურნეობას ნაყოფიერად ეხმარება კომკავშირული ორგანიზაცია. აქ 28 კომკავშირელია. მათ შორის სტახანოვურად შრომობენ ლ. ზაზანაშვილი, გ. გაიპარაშვილი, ლამარა დიასამიძე, თამარ მამუკაშვილი და სხვები.

წლითიწლობით ადიდებს ხორბლის მოსავლიანობას სოფელ ფშავლის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა. შარშან აქ შრომადღეზე 3 კილოგრამზე მეტი მარცვლეული გაანაწილეს. 600 ჰექტარზეა აბიბინებული ხორბლის ყანები. კოლმეურნეობას უთესია 70 ჰექტარი კახური დატოტვილი ხორბალი. ჯეჯილში შეაქვთ სასუქები, დროულად მარგლავენ, უკვე დაფარცხეს 300 ჰექტარზე მეტი. წელს ფშაველლები ხორბლის უხვ მოსავალს მოელიან.

თელაველი კოლმეურნეები თავდადებით მუშაობენ წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ნ. ჯანჯღავა
ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის" კორესპონდენტები

მეაბრეშუმეები ახალი სეზონის წინ

ახმეტა. (საკ. კორ.). რაიონში შექმნილია მეაბრეშუმეობის 20 ბრიგადა 98 რგოლით. ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა 28 კოლოფ აბრეშუმის ჭიას გამოკვებავს, ქისტაურის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა—26 კოლოფს. ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის პირველ რგოლს განთქმული მეაბრეშუმე ოსანა აივაზაშვილი ხელმძღვანელობს. მას ნაკისრი აქვს ვალდებულება თვითეული კოლოფი აბრეშუმის თესლიდან 115 კილოგრამი პარკი მიიღოს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51 კილოგრამისა.

ქისტაურელები აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის მზადებას შეუდგნენ, იმარაგებენ ლასტებს, ლუმელების ასაშენებლად საჭირო მასალებს, თერმომეტრებს და სხვ. ისინი ამზადებენ პირობებს იმისათვის, რომ აბრეშუმის ჭიის გამოკვება 20 დღეში დაამთავრონ.

სანიმუშოდ მოვაწყოთ მშრომელთა საზაფხულო დასვენება!

★

ექსკურსიები, გასეირნებანი

შარშან ჩვენი ქარხნის ასობით მუშა-მოსამსახურემ დაისვენა და იმკურნალა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. გარდა ამისა, როგორც შარშან, ისე წელსაც საერთო საცხოვრებელთან ნაყოფიერად მუშაობს საღამოს სანატორიუმი, სადაც ყოველთვიურად 50 კაცი ისვენებს.

წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნის საკითხი ჯერ კიდევ იანვარში შევისწავლეთ. თითქმის ყოველთვიურად ათობით მუშა-მოსამსახურე მიემგზავრება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე.

ამჟამად 10 კაცი სოციალური დაზღვევის სახსრებით ისვენებს წყალტუბოში.

მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის გახსნილი გვაქვს პიონერთა ბანაკი მცხეთაში. მალე გავლენ დასასვენებლად დანიშნულ ადგილას ბავშვთა ბაგები.

ასობით მუშა-მოსამსახურე იმკურნალებს და დაისვენებს წელს კისლოვოდსკში, გაგრაში, ესენტუკში, ქობულეთში და სხვ. გარდა ამისა, ყოველ დასვენების დღეს მოვაწყობთ ქალაქგარეთ გასეირნებას, რისთვისაც გამოყოფილი გვაქვს სპეციალური ავტობუსი. მოეწყობა ექსკურსიები ქალაქ გორში, ბათუმში, სამგორში და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ადგილებში.

დ. მამაცაშვილი
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექტორი

დაისვენებენ საუკეთესო კურორტებზე

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნას, მათ კულტურულ მომსახურებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად გაითვალისწინა ეს გარემოება და დირექციასთან და ქარხკომთან ერთად დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოსთან დადებულ იქნა ხელშეკრულება. წელს ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები დაისვენებენ და იმკურნალებენ საქართველოს საუკეთესო კურორტებზე — გაგრაში, ქობულეთში, ბორჯომში და სხვ. ბავშვებისათვის გვაქვს კეთილმოწყობილი სახლი ქვიშხეთში. გარდა ამისა, საბავშვო ბაგის 60 ბავშვი გაიგზავნება კურორტზე დასასვენებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივ დასვენებას, გართობას, ყველა სამკურნალო ფაქტორის მაქსიმალურად გამოყენების საქმეს. კლუბი, სასპორტო მოედნები, ბაღი — ყოველმხრივ მზადა გვაქვს.

ზაფხულში მოეწყობა ექსკურსიები ქალაქ გორში, რუსთავში და სხვ.

გ. სტურუა
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი

ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით „კომუნისტის" რედაქციამ თბილისის მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელებს მიმართა შეკითხვით, თუ რას აკეთებენ ისინი წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციისათვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ კითხვაზე მიღებულ პასუხს.

ვაშენებთ დასასვენებელ კომბინატს

ჩვენი ფაბრიკის დირექცია იბრძვის იმისათვის, რომ თვითეულ მუშა-მოსამსახურეს შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები შეუქმნას. შარშან თითქმის მთლიანად დავაკმაყოფილეთ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნები სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებზე. 182 მუშა-მოსამსახურემ ისარგებლა ასეთი საგზურებით. წელს 200-მდე კაცი გაიგზავნება კურორტებზე დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ფაბრიკის დირექციამ დაიწყო დასასვენებელი კომბინატის მშენებლობა კიკეთში. ამ კომბინატს ექნება ოთხი სახლი: ერთი — საბავშვო ბაღისათვის, ერთი — პიონერთა ბანაკისათვის, ხოლო ორი სახლი — მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დასვენებისათვის. პიონერთა ბანაკის სახლი საექსპლოატაციოდ შარშან გადაეცა, წელს მეორე სახლში საბავშვო ბაღი გაიხსნება. კომბინატის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება 1951 წლის ბოლოსათვის. გარდა ამისა, დასასვენებელ კომბინატთან აშენდება 4-5 კოტეჯი, რისთვისაც საჭირო ფართობი გამოყოფილია. კომბინატის მარტო პირველი რიგის სამუშაოები 1 მილიონი მანეთი დაჯდება. ფაბრიკის ტერიტორიიდან კომბინატამდე ივლის ავტობუსი, რომელიც დამსვენებლებს გადაიყვანს.

დასასვენებელი კომბინატი ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ფართო შესაძლებლობას შექმნის და ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას.

ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები წელს შვებულებებს ძირითადად გაატარებენ ქობულეთში, გაგრაში, ბორჯომში, კისლოვოდსკში, ესენტუკში, ნაწილობრივ კი ყირიმის კურორტებზე.

აღსანიშნავია ფაბრიკის პროფორგანიზაციის (საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. თხელიძე) აქტიური მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დასვენების მოსაწყობად. პროფორგანიზაციასთან შექმნილია საყოფაცხოვრებო პირობების შემსწავლელი კომისია. მუშა-მოსამსახურეთა განცხადებებს საგზურების მიცემის შესახებ ეს კომისია დროზე იხილავს. პირველ რიგში დასასვენებლად იგზავნებიან ისინი, ვინც აუცილებელ მკურნალობას საჭიროებს.

ფაბრიკის დირექცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უფრო გააუმჯობესოს მუშა - მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების პირობები.

ნ. თუშიშვილი
მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორი

★

სტახანოველები მიემგზავრებიან კურორტებზე

კურორტებზე მუშა-მოსამსახურეთა დასვენებისა და სამკურნალოდ გაგზავნის საკითხს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს. ჩვენი საწარმოდან წელს სანატორიუმში გაიგზავნება 15 კაცი, დასასვენებელ სახლებში—50. გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის მოეწყობა პიონერთა ბანაკი, სადაც 90 ბავშვი დაისვენებს. პიონერთა ბანაკის მოწყობაზე 10.000 მანეთი დაიხარჯება.

სოჩის სანატორიუმში დასასვენებლად უკვე გაიგზავნა მე-4 საამქროს მოწინავე მკერავი ვ. მაკოიანი. ქობულეთის დასასვენებელ სახლებში დაისვენეს პირველი საამქროს სტახანოველმა მარიამ ბერიძემ, ფაბრიკის ლაბორატორიის წუნმდებელმა ეთერ მუზაშვილმა და სხვ. ამჟამად მიღებული გვაქვს დასასვენებელი სახლის 14 და სანატორიუმის 2 საგზური. დანარჩენ საგზურებზე მოთხოვნები წარდგენილია. მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასა წელს დაისვენებს ბორჯომში, ქობულეთსა და მახინჯაურში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების გაცემას სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აგვიანებს. ზოგჯერ საგზურები მოგვდის კურორტებზე გაგზავნის ვადაზე მხოლოდ ორი-სამი დღით ადრე. ასეთ შემთხვევებში ძნელი ხდება კურორტებზე გასაგზავნი კანდიდატურების შერჩევა.

აქვე უნდა ითქვას, რომ არა ერთხელ აღიძრა ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის საკუთარი სანატორიუმის გახსნის საკითხი, მაგრამ დღემდე ამას ვერ მივაღწიეთ. გარდა ამისა, მუდმივად არ გვაქვს გამოყოფილი ადგილსამყოფელი პიონერთა ბანაკის მოსაწყობად. ყოველწლიურად ბანაკის მოწყობაზე უამრავი თანხა იხარჯება. კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩვენი კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი დაგვეხმარება.

დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნისათვის ფაბრიკის პროფესიული ორგანიზაცია დიდ მზრუნველობას იჩენს. ამ საკითხზე დროულად იმსჯელა პროფესიული ორგანიზაციის კრებამ. დაისახა სათანადო ღონისძიებანი.

ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ზრუნავენ იმისათვის, რომ მიმდინარე წელსაც მუშა-მოსამსახურეებმა კარგად გამოიყენონ კუთვნილი შვებულება და დასვენებულნი და გამოჯანსაღებულნი დაუბრუნდნენ თავიანთ საწარმოს.

მ. ქართველიშვილი
პირველი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი

აბასთუმანი. სურათზე: პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობისათვის

თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის ხელის შეწყობა, — ასეთია საქართველოს თეატრალური საზოგადოების ამოცანა. ეს საზოგადოება ჩამოყალიბდა 1945 წელს და ამჟამად თავის რიგებში აერთიანებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა თეატრის შემოქმედებით მუშაკს, აგრეთვე ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეებს.

თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილება მშრომელთა ფართო მასებში თეატრის თეორიისა და პრაქტიკის პროპაგანდას ეწევა, სათეატრო ხელოვნების საკითხებზე ლექციებს, დისპუტებსა და მოხსენებებს აწყობს, თანამედროვე ქართული თეატრის გამოჩენილ ოსტატებს შემოქმედებით საღამოებს უმართავს და სხვ.

თანამედროვე დრამატურგიის და თეატრალური კრიტიკის საკითხებს ამუშავებს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული საბჭოთა დრამატურგიისა და კრიტიკის კაბინეტი.

რეჟისორისა და აქტიორის კაბინეტი თავის მუშაობას წარმართავს იმ მიმართულებით, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქართულ საბჭოთა თეატრში რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

ქართული თეატრის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და მისი საუკეთესო ტრადიციების პოპულარიზაციისათვის მუშაობს საზოგადოების ქართული თეატრის ისტორიის კაბინეტი, რომლის გარშემო თავმოყრილი არიან ქართული თეატრის ისტორიის მკვლევართა საუკეთესო კადრები.

1948 წლის აპრილიდან მუშაობას შეუდგა საზოგადოების ბიბლიოგრაფიული განყოფილება. უკვე შეკრებილია მასალები ქართული თეატრის არსებობის 100 წლისთავის იუბილესათვის, აგრეთვე მასალები კრებულისათვის „ქართული თეატრის მოღვაწეთა აზრი თეატრალურ ხელოვნებაზე".

თეატრალური საზოგადოების ხაზით ჩატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი სესია, რომელზეც წაკითხულ იქნა 9 მოხსენება დიდი ხელოვანის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ. ეს მოხსენებანი ცალკე კრებულად გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ".

გარდა ამისა, ჩატარდა საჯარო მოხსენებები აკადემიკოს გ. ახვლედიანისა — „ქართული ენა თეატრში", შალვა დადიანისა — „ქართული თეატრის განვითარების გზები"; ლექციები პროფესორ ა. ფალავასი — „დრამატურგია და თეატრი", პროფესორ ვ. ბორონდინსკისა — „ბურჟუაზიული მუსიკის დეკადანსი", პროფესორ მ. გრიგორიევის ლექციების ციკლი — „საბჭოთა დრამატურგიის ამოცანები", „სტანისლავსკის მეთოდი თეატრში", „მაქსიმ გორკის დრამატურგია", „ფორმალიზმი სოციალისტური ესთეტიკის მტერია" და სხვ.

თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო აგრეთვე ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატების — ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, დ. ერისთავის, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის, ვ. შალიკაშვილის, კ. ყიფიანის, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და სხვათა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები.

მოეწყო დისპუტები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით ინსცენირებულ „კაცია ადამიანზე", კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხზე", მ. ჭიაურელისა და ლ. ასათიანის „1917 წელზე", ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებზე", გ. წერეთლის მიხედვით ინსცენირებულ „პირველ ნაბიჯზე", ალ. ყაზბეგის მიხედვით ინსცენირებულ „მოძღვარზე", მ. ძრევლიშვილის „[illegible]" და სხვა სპექტაკლებზე.

თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ერთად მოაწყო საქალაქო და სარაიონო თეატრების დათვალიერებაში შერჩეული ბათუმის, ფოთის, გორისა და თელავის თეატრების შემოქმედებითი მუშაობისადმი მიძღვნილი კონფერენცია - დისპუტი. ასევე მოეწყო სპეციალური დისპუტები თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსკომედიის, სანკულტურისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრების შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „ვ. მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობის შესახებ", აგრეთვე „პრავდის" სარედაქციო სტატიაში — „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ" დასახული ამოცანების განსახილველად თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო თბილისის თეატრალური აქტივის თათბირი და სათანადო ღონისძიებანი დასახა.

საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური ახალგაზრდობის შემოქმედებით მუშაობას. საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებით განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის სექცია, რომელშიც გაერთიანებული არიან თბილისის თეატრების ახალგაზრდა შემოქმედი მუშაკები — მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრთმცოდნეები და სხვა. სექციის ხაზით ჩატარებულია ახალგაზრდათა 4 საღამო.

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებობს გამომცემლობა „ხელოვნება". თავისი არსებობის პერიოდში გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოსცა 33 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები ქართული ხელოვნების დარგიდან, როგორიცაა — კ. მარჯანიშვილის „მემუარები", ი. ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი", შ. კაშმაძის „სანდრო ინაშვილი" და „ზ. ფალიაშვილი", ი. გრიშაშვილის „ძველ თეატრში", ს. გერსამიას „ქუთაისის თეატრი", „აკ. წერეთელი და ქართული თეატრი", გ. ბუხნიკაშვილის „მარჯანიშვილის ბიოგრაფია" და „ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი", ერ. ქარელიშვილის „ა. ნ. ოსტროვსკი", კ. მარჯანიშვილის საიუბილეო კრებული, მ. მრევლიშვილის „სასცენო ხელოვნების ფონეტიკური საფუძვლები" და სხვ.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავთან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით თეატრალურმა საზოგადოებამ თბილისის მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში მოაწყო თავისი აქტივისტების მოხსენებები შემდეგ თემებზე: „დიდი სტალინის სახე ქართულ დრამატურგიასა და თეატრში", „საბჭოთა ინტელიგენციის სახე ქართულ საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრში" და სხვ.

მიმდინარე წლის 24-25 აპრილს მოწვეულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეორე ყრილობა. ამ ყრილობამ ხელი უნდა შეუწყოს თეატრალური საზოგადოების მუშაობის გაძლიერებას, ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის წარმატებით ბრძოლას.

კ. ბარბაქაძე

აფხაზეთის კურორტები სეზონის წინ

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო მნიშვნელობის მრავალი კურორტია. ისინი მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობენ. აქ ყოველწლიურად ისვენებს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით მშრომელი. ეს აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს აკისრებს სერიოზულ პასუხისმგებლობას, რათა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველთვის იყოს მკურნალობისა და დასვენების სათანადო პირობები.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ჯერ კიდევ 1949 წლის საკურორტო სეზონის დამთავრებისთანავე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კურორტების მშენებლობის განვითარებისათვის, ამ საქმეში მშრომელთა ფართო მონაწილეობისათვის. საოლქო კომიტეტის ღონისძიებათა საფუძველზე მუშაობა გაშალეს პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა.

1950 წლის 12 იანვარს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საკურორტო სამმართველომ სპეციალური ბრძანებით განსაზღვრა ის სამუშაოები, რომლებიც უნდა შეესრულებინათ ადგილობრივ საკურორტო სამმართველოებს, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, რათა ისინი მომზადებული შეხვედროდნენ 1950 წლის საკურორტო სეზონს. განისაზღვრა აგრეთვე სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო დრო. მთავარი საკურორტო სამმართველოს ბრძანების საფუძველზე შედგენილ იქნა კონკრეტული სამუშაო გეგმა.

როგორია მისი შესრულების მიმდინარეობა? სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შემოწმებამ გვიჩვენა შემდეგი:

12 აპრილს გაიხსნა სანატორიუმი „რიცა" (მთავარი ექიმი გ. ბეროძე). 55 ათასი მანეთი დაჯდა ამ სანატორიუმის შენობის მიმდინარე რემონტი. შეკეთდა ყველა პალატა, დაკომპლექტდა კადრები, საკმაო რაოდენობით მომარაგებულია საწვავი მასალა, პროდუქტები, შეძენილია თეთრეული და სხვადასხვა აუცილებელი ინვენტარი; სანატორიუმს მოეპოვება რენტგენის, ფიზიოთერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტები. შეძენილი აქვთ კულტინვენტარი, საკმაო რაოდენობის მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. ლამაზად მოწყობილია დამსვენებელთა გასართობი ოთახი. მაგრამ სანატორიუმ „რიცას" აქვს ერთი დიდი ნაკლი—მას არ გააჩნია სასადილო. იგი თავიდანვე სასტუმრო „გაგრიფშის" სასადილოთი სარგებლობდა. ახლაც ასეა. განა დრო არ არის სანატორიუმმა დასვას საკითხი საკუთარი სასადილოს აშენების შესახებ? მით უმეტეს, რომ სასადილოს შენობისათვის პირველი სართული დიდი ხანია ამოყვანილია.

რამდენიმე სიტყვა სასტუმრო „გაგრიფშის" შესახებ. ეს ლამაზი და ორიგინალურად აგებული შენობა კარგა ხანია რემონტს საჭიროებს. სახელმწიფომ ამისათვის დიდი თანხა გამოჰყო. შარშან დაიწყო რემონტი. დაიხარჯა რამდენიმე ასეული ათასი მანეთი, მაგრამ შენობის რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს, შენობა კვლავ ცუდ მდგომარეობაშია, ზემო სართულის კიბეები დამპალია და ინგრევა. „გაგრიფშის" შენობის რემონტის დაჩქარებასთან ერთად გაგრის საკურორტო სამმართველომ ახლავე უნდა იზრუნოს ინვენტარისათვის. ინვენტარი, რომელიც ამჟამად გააჩნიათ, სრულიად შეუფერებელია კეთილმოწყობილი სასტუმროსათვის და მით უმეტეს ისეთ კურორტზე, როგორიცაა გაგრა.

„ჟოეკვარა" ერთ-ერთი დიდი სანატორიუმია გაგრაში. აქ ერთდროულად 200-მდე მოქალაქეს შეუძლია დაისვენოს. აფხაზეთის ასსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს ბრძანების თანახმად ეს სანატორიუმი უნდა გაიხსნას 25 აპრილს. უნდა აღინიშნოს, რომ სანატორიუმის ხელმძღვანელებმა სეზონისათვის მზადება დააგვიანეს. შენობის რემონტი დაიწყო მარტის ბოლო რიცხვებში. ამიტომ საეჭვოა, რომ მათ შესძლონ გათვალისწინებული დროისათვის მაღალხარისხოვნად დაამთავრონ სარემონტო სამუშაოები. ეს, რა თქმა უნდა, თავისებურ უარყოფით გავლენას მოახდენს დამსვენებელთა მომსახურების ხარისხზე.

გაცხოველებული მუშაობაა გაგრის სტალინის სახელობის სანატორიუმში (მთავარი ექიმი ვ. ფხაკაძე). აქ ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ დროზე მოათავონ სარემონტო სამუშაოები და სეზონს სავსებით მომზადებულნი შეხვდნენ.

წელს დიდი მუშაობაა გაწეული კურორტ გაგრის ხეივნების, ბაღების კეთილმოსაწყობად, ყვავილნარების გასაფართოებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარე ჟოეკვარას ხეობაში ჩატარებული სამუშაოები—გზის გაფართოება, ახალი პარკების გაშენება, ხეობის კეთილმოწყობა და სხვა. წელს მოაგარაკეები ამ ადგილის ხშირი სტუმრები იქნებიან, აქ ისინი კულტურულად დაისვენებენ და გაერთობიან.

კურორტის პარკების, ხეივნებისა და ყვავილნარების გაშენებისათვის აქტიურად მუშაობენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთი საუწყებო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აქვთ, აგრეთვე გაგრის მცხოვრებნი. მათი მონაწილეობით ზღვის სანაპირო პარკში მოტანილია 600 კუბური მეტრი შავი მიწა, 1.200 კვადრატული მეტრი მწვანე ბალახიანი ბელტი, კურორტის ტერიტორიაზე დარგულია 200-ზე მეტი ჰიმალაის კედრი და სხვ.

წელს კურორტ გაგრის გასამწვანებლად, სანაპირო პარკის, სკვერისა და გაზონების მოსაწყობად დაიხარჯება ერთი მილიონი მანეთი.

გაგრის საკურორტო სამმართველომ (დირექტორი ამხ. ვ. გოკიელი) საჭირო ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რათა სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო დაწესებულებები სავსებით მომზადებული შეხვდნენ მიმდინარე წლის საკურორტო სეზონს.

სერიოზული მუშაობაა გაწეული კურორტ ახალ ათონში (საკურორტო სამმართველოს დირექტორი ს. ცომაია). სრულ წესრიგშია მოყვანილი მწვანე ნარგავებით შემოსილი შესანიშნავი პარკები და სკვერები. მაღალხარისხოვნად ჩატარდა სანატორიუმ „აფხაზეთის" კორპუსის რემონტი, მთლიანად რეკონსტრუირებულია წყლით სამკურნალო სააბაზანო, № 3 სანატორიუმი შევსებულია სამედიცინო ხელსაწყოთი და აპარატურით, გაფართოებულია ფიზიოთერაპიული კაბინეტი.

სეზონს მომზადებული შეხვდა კუჭნაწლავების დაავადებათა სოხუმის კლინიკური სანატორიუმი (მთავარი ექიმი ი. კობახიძე), რომელიც ავადხარის მინერალური წყლის ბაზაზე ახდენს კუჭნაწლავების დაავადებათა მკურნალობას. სანატორიუმი 15 აპრილს გაიხსნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთ სანატორიუმში (სანატორიუმი „ჟოეკვარა" და სხვ.) სეზონისათვის მზადება—შენობათა რემონტი, ინვენტარის შეძენა, კაბინეტების მოწყობა, საწვავის მომარაგება და სხვა, დაგვიანებით დაიწყო. ამ გარემოებას სანატორიუმის მუშაკები იმით ხსნიან, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთავარმა საკურორტო სამმართველომ მთელი რიგი სანატორიუმები დაგვიანებით დააფინანსა. „ჟოეკვარამ", „აფხაზეთმა", „რიცამ" და სტალინის სახელობის სანატორიუმებმა მარტის ბოლოს მიიღეს რემონტისათვის გათვალისწინებული თანხები, მაშინ, როდესაც სანატორიუმთა უმრავლესობა აპრილში უნდა გახსნილიყო. მაგრამ მარტო ამ მიზეზით არ შეიძლება აიხსნას სეზონისათვის მზადების დაგვიანება. სარემონტო სამუშაოების ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ სანატორიუმების ხელმძღვანელებმა და საკურორტო სამმართველოებმა დროზე არ მიიღეს სათანადო ზომები სამუშაოთა შესასრულებლად.

აფხაზეთის ასსრ კურორტებზე უკვე მოდიან დამსვენებლები. სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაკთა ამოცანაა მომზადებული შეხვდნენ, მზრუნველობით მოეპყრან მათ, მთლიანად და მიზანშეწონილად გამოიყენონ ის პირობები, რომლებიც შექმნეს ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის აღდგენისათვის, ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის.

რეიდის მონაწილენი: ბ. თათარიშვილი, ს. გეგეჭკორი, ს. შონია, ლ. დადიანი.

კარგი თაოსნობა

კასპელ კოლმეურნეთა კვირაობა მეტეხის აგურის ქარხნის მშენებლობაზე

მტკვრის მარცხენა ნაპირას, აშურიანის ველზე შენდება მეტეხის აგურის მექანიზებული ქარხანა. ეს საწარმო აგურის ქარხნებს შორის ყველაზე მძლავრი იქნება რესპუბლიკაში. ქარხანაში დაიდგმება მშრალი წნეხის 3 წნეხი, რომელთა წარმადობა წელიწადში 20 მილიონ ცალ აგურს უდრის. ქარხანას ექნება თიხის შესანახი სათავსო, მექანიკური სარემონტო სახელოსნო.

მშენებლობის საჭირო აგურითა და კრამიტით უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოეწყო და მუშაობს მშრალი წნეხის ერთი წნეხი, რომელიც წელიწადში 2,5 მილიონ ცალ აგურს უშვებს. აქვე წარმოებს ღაროვანი კრამიტის დამზადება.

დღემდე წარმოებდა საცხოვრებელი დაბის მოწყობა. აგებულია რამდენიმე სახლი, გახსნილია მუშათა სასადილო, სავაჭრო და საპარიკმახერო. ეწყობა წითელი კუთხე, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი. მიმდინარეობს პურის საცხობის, სავაჭრო მაღაზიებისა და აბანოს შენობათა აგება.

დაწყებულია გვირაბის სისტემის ორი ღუმელის მშენებლობა. წარმოებს თიხის საშრობის, მექანიკური სახელოსნოს, სხვადასხვა საიარაღო საწყობების აგება და ქარხნის ტერიტორიის შემოღობვა. ქარხანამ პირველი პროდუქცია მომავალ წელს უნდა გამოუშვას.

ქარხნის მშენებლობა (სამშენებლოსამონტაჟო სამმართველოს უფროსი გ. ყანჩაველი) ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის მუშახელით. მშენებლობაზე 300 მუშის ნაცვლად დღეში 170 კაცი მუშაობს. მშენებლობის დასაჩქარებლად კარგი ინიციატივა გამოიჩინეს კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა. მათ შეფობა აიღეს მშენებლობაზე. კოლმეურნეთა პირველი მასობრივი გამოსვლა მოხდა 16 აპრილს. ამ დღეს 600-ზე მეტი კოლმეურნე მუშაობდა ქარხნის მშენებლობაზე. კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სოფელ დოესის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ოხანაშვილი, შეჯიბრება გამართეს სოფელ მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის" წევრებთან. საუკეთესოდ იმუშავეს დოესელმა კოლმეურნეებმა ისაკი ხორგუაშვილმა, ვანო და ვასილ ხორბალაძეებმა, ოთარ აბრამიძემ, აბრამ ხეჩიკაშვილმა და სხვებმა. 21 კოლმეურნემ 60 კუბმეტრი მიწის სამუშაო 4 საათში შეასრულა.

სოფელ მეტეხიდან 50 კოლმეურნე მონაწილეობდა მუშაობაში. მათ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა აბრამაშვილი. სტახანოველმა კოლმეურნეებმა დავით შაქარაშვილმა, ვანო ლომიაშვილმა და ესტატე ოტოშაშვილმა ამ დღეს ორ-ორი ნორმა გამოიმუშავეს.

კასპელმა კოლმეურნეებმა ენერგიული შრომა გააჩაღეს ქარხნის მშენებლობაზე. მათი აქტიური მონაწილეობით შენდება საშენი მასალის დამამზადებელი მძლავრი საწარმო — აგურის მექანიზებული ქარხანა. კოლმეურნეები პირობას იძლევიან თავიანთი შრომითი მონაწილეობით უზრუნველყონ ქარხნის მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრება.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეტი ყურადღება სტუდენტთა ქალაქს

მარის ქუჩის ბოლოს ყურადღებას იპყრობს ლამაზად მოწყობილი სტუდენტთა ქალაქი. ორსართულიანი სტანდარტული კორპუსები, კლუბი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, რადიოკვანძი, ფაბრიკა-სამზარეულო, სასადილო, აბანო, მექანიკური სამრეცხაო, კარგად მოწყობილი პოლიკლინიკა, საავადმყოფო-სანატორიუმი,—აი ის, რაც წარმოადგენს ქალაქის მშვენებას.

აქ ცხოვრობს და მეცნიერებას ბეჯითად ეუფლება 2.500-ზე მეტი სტუდენტი. აქ იზრდებიან მომავალი ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები.

სტუდენტთა ქალაქის სამმართველო (მმართველი ამხ. ვ. მახარაშვილი) ერთგვარ მუშაობას ეწევა სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, სრულიად არასაკმარისია.

დღემდე შემოკავებული არ არის სტუდენტთა ქალაქის ეზო. მთელი ზამთრის განმავლობაში არ თბებოდა №№ 12, 11, 10, 1, 2, 3, 4 კორპუსები. ოთახებსა და საერთო სარგებლობის ადგილებში წესრიგი და სისუფთავე არ არის. № 12 კორპუსის პირსაბანელში ძველი, უვარგისი ინვენტარი აწყვია, ხოლო № 9 კორპუსის პირსაბანელში ჭუჭყი და სიბინძურეა. საპირფარეშოსა და პირსაბანელის დაზიანებათა გამო ნესტიანდება კედლები. № 11 კორპუსში № 29 ოთახის კარები შესაკეთებელია. ზოგჯერ აგვიანებენ თეთრეულის გამოცვლას. ამას წინათ № 7 კორპუსში თეთრეულის შეცვლა დაწესებულ ვადას გადააცილეს.

სასწავლო წლის დასაწყისში ოთახების განაწილებისას სტუდენტთა ქალაქის სამმართველომ და უმაღლეს სასწავლებელთა დირექციებმა ვერ გაითვალისწინეს ოთახებში ჩასახლება მოეწყოთ კურსისა და ფაკულტეტების მიხედვით, რაც აფერხებს ჯგუფური მეცადინეობისა და დასვენების რეჟიმის დაცვას. № 9 კორპუსში დღემდე ცხოვრობენ გარეშე მოქალაქენი, მაშინ როცა ზოგი ოთახი სტუდენტებით გადატვირთულია. საცხოვრებლების ინვენტარი და ავეჯი რემონტსა და შევსებას საჭიროებს. საკმაო რაოდენობით არ არის სკამები, საწოლები, განჯინები. მოუგვარებელია სასმელი და სარწყავი წყლის მომარაგება. სტუდენტთა ქალაქს საკმაოდ არა აქვს წყლის შესანახი რეზერვუარები, ხოლო არსებული რეზერვუარი გასაწმენდი და შესაკეთებელია.

საჭირო ყურადღება არ ექცევა სტუდენტთა ქალაქში მწვანე ნარგავებს. მოუვლელობის გამო ბევრი ნარგავი დაზიანებული ან გამხმარია. მცენარეთა უმეტესობა უწესრიგოდ არის დარგული. ბევრი მათგანი რატომღაც ისე ხშირად და უწესოდ არის დარგული დიდ ხეებქვეშ, რომ მათი ზრდა-განვითარება შეუძლებელია.

სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებთათვის სწავლის აუცილებელი პირობების დამყარება ბევრად არის დამოკიდებული თვით სტუდენტებზე. ისინი ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან შინაგანაწესი, წესრიგი და სისუფთავე. მაგრამ თვით სტუდენტთა შორის არის უწესრიგობის შემთხვევები, დერეფნებისა და ოთახების კედლებზე უაზრო წარწერებს აკეთებენ, საერთო სარგებლობის ადგილებს ანაგვიანებენ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადაჭრით უნდა გააძლიეროს ბრძოლა სტუდენტთა ქალაქის ხელმძღვანელობამ.

გ. ხინგავა
დ. გეგენავა

ბულგარელი ხალხი აღნიშნავს დიდი ლენინის ხსოვნას

სოფია, 20 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთის მშრომელები აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავს.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირი მთელ ბულგარეთში მართავს დიდი თარიღისადმი მიძღვნილ კრებებს. რაიონებში გაგზავნილია 22 მოძრავი კინო, რომლებიც უჩვენებენ კინოფილმებს „ლენინი ოქტომბერში", „თოფიანი კაცი" და სხვ.

ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნულმა საბჭომ თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაავალა 22 აპრილისათვის ყველა კლუბსა და აგიტპუნქტში მოაწყონ „ლენინის კუთხეები", მოაწყონ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თხზულებათა გამოფენები და ფოტო-გამოფენები.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობა „პარტიზდატმა" გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი ტომი. ცალკე ბროშურებად გამოცემულია აგრეთვე ვ. ი. ლენინის 26 ნაწარმოები.

სოფიის საქალაქო პარტიული კაბინეტი აწყობს კონსულტაციებს მომხსენებლებისათვის და ლექციებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სოფიის რადიო ყოველდღე გადასცემს ლექციებსა და საუბრებს, ლიტერატურულ მონტაჟებსა და სიმღერებს ლენინის შესახებ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესიის რეზოლუციები

ჰელსინკი, 22 აპრილი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესიამ საბერძნეთისა და რესპუბლიკური ესპანეთის დელეგატთა წინადადებით მიიღო საბერძნეთსა და ფრანკისტულ ესპანეთში ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ საპროტესტო შემდეგი რეზოლუცია:

„ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომი ყველა ეროვნულ ორგანიზაციას მიუთითებს, რომ საჭიროა გააძლიერონ დახმარება ესპანეთისა და საბერძნეთის ხალხებისადმი და მოითხოვონ მოისპოს კუნძულ მაკრონისოსის საშინელი საკონცენტრაციო ბანაკი და საბერძნეთისა და ესპანეთის სხვა საკონცენტრაციო ბანაკები და წამების ადგილები, რომელთა საშინელება აღემატება ყოველივეს, რის წარმოდგენაც კი ადამიანის გონებას შეუძლია. აღმასკომს მიაჩნია, რომ ეროვნულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა მოითხოვონ საყოველთაო ამნისტია საბერძნეთისა და ესპანეთის პოლიტიკური პატიმრებისათვის, რომლებიც ისევე, როგორც ჩვენ, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის იბრძვიან".

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესიამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია ბავშვთა საერთაშორისო დღის ჩატარების საკითხზე.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომი ურჩევს კაპიტალისტური ქვეყნების ყველა ეროვნულ ორგანიზაციას „1950 წლის 1 ივნისს ჩაატარონ ბავშვთა საერთაშორისო დღე ახალი ომის საფრთხისაგან ბავშვთა სიცოცხლის დაცვის ნიშნით, მოითხოვონ შემცირება უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტებისა, რომლებიც ნთქავენ იმ ფონდებს, რაც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, იბრძოლონ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი განათლებისათვის განკუთვნილ ასიგნობათა გასადიდებლად.

ბავშვთა საერთაშორისო დღემ ამავე დროს ხელი უნდა შეუწყოს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას ყველა პროგრესულ ორგანიზაციასთან და საბავშვო პრობლემათა შესწავლაზე მომუშავე გამოჩენილ პროგრესულ მოღვაწეებთან, ამ მოღვაწეთა გამოსვლებს ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, ბავშვთა აღზრდის დემოკრატიზაციისათვის.

იზრდება და მტკიცდება მშვიდობის ფრონტი

საყოველთაო სახალხო მოძრაობა პოლონეთში მშვიდობის დასაცავად

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო გადმოგვცემს, მუშები და გლეხები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სკოლებში გამართულ მრავალ მიტინგსა და კრებაზე პოლონელი მშრომელები გადაჭრით აცხადებენ, რომ სურთ მშვიდობა და კარგად ესმით მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლის მნიშვნელობა.

პოლონეთის რესპუბლიკის ყველა ქალაქში იმართება მშვიდობის მომხრეთა კომიტეტების პლენარული სხდომები, რომლებზეც განიხილავენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებებს და ამტკიცებენ ადგილობრივი კომიტეტების ახლო მომავლის საქმიანობის პროგრამებს.

ფრანგი მუშების ბრძოლა მშვიდობისათვის

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი პროფკავშირის და „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ორგანიზაციის ადგილობრივი სექციის მოწოდებით გუშინ გაიფიცა გოლცერის ქარხნის პერსონალი ქალაქ ინიეში (ლუარის დეპარტამენტი), სადაც 2 ათასამდე მუშა მუშაობს.

გაფიცვა გამოცხადდა იმის პროტესტის ნიშნად, რომ ქარხნის დირექციამ გადაწყვიტა განაახლოს 380 მილიმეტრი ყალიბის ყუმბარების წარმოება, რაც შეწყვეტილი იყო საფრანგეთის განთავისუფლების დროიდან.

მშრომელთა დელეგაციამ ინახულა ქარხნის დირექცია და პროტესტი განუცხადა. მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რომელშიც, გარდა გოლცერის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისა, მონაწილეობა მიიღეს ფირმინელმა, ფრესელმა და ინიელმა დიასახლისებმა და მაღაროელებმა. ეროვნული კრების დეპუტატმა ლუარის დეპარტამენტისაგან კომუნისტმა მარიუს პატინომ შეკრებილთ მიმართა მოწოდებით, გააძლიერეთ მშვიდობისათვის ბრძოლაო. გოლცერის ქარხნის მუშებმა მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება „უარი თქვან სიკვდილის იარაღების დამზადებაზე".

ინგლისელი ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში

ლონდონი, 21 აპრილი. (საკდესი). „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ინგლისელი მშრომელები ფართოდ უჭერენ მხარს ატომური ბომბის აკრძალვის მოთხოვნას, რომელსაც იზიარებენ ინგლისის ქრისტიანული ეკლესიები, და წერს: „ატომური ბომბის აკრძალვის მოთხოვნა დღითიდღე სულ უფრო მტკიცე ხდება. მშვიდობისათვის ბრძოლის წარმატების საუკეთესო საწინდარია აქტიურად დავეხმაროთ მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტს შეაგროვოს ხელმოწერა მის დიდ პეტიციაზე, რომელიც ატომური ბომბის აკრძალვას მოითხოვს".

ორმა მილიონმა რუმინელმა მოქალაქემ მოაწერა ხელი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას

ბუქარესტი, 21 აპრილი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის მუდმივი კომიტეტის ცნობებით, 20 აპრილისათვის მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაზე ხელმომწერთა რაოდენობა მთელ რესპუბლიკაში 2 მილიონ კაცს შეადგენდა.

დედაქალაქში მოწოდებას ხელი მოაწერა 400.000-ზე მეტმა კაცმა. ხელმოწერის შეგროვება რუმინეთში სულ უფრო დიდი აღფრთოვანებით გრძელდება.

მშვიდობის პეტიციაზე ხელმოწერის შეგროვება ინგლისში

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესი). „დეილი უორკერი" იუწყება, რომ მშვიდობის სრულიად ინგლისის პეტიციაზე ხელმოწერის შეგროვება თუმცა მხოლოდ გასული კვირის ბოლოს დაიწყო, მაგრამ მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტს უკვე მოსდის შევსებული და ხელმოწერილი ბლანკები. პირველი ბლანკი, რომელიც კომიტეტს დაუბრუნდა, არა მარტო შევსებული იყო, არამედ ხელმოწერა და მისამართი ჩაწერილი იყო ბლანკის ყოველ თავისუფალ ადგილზე.

ქალთა საერთაშორისო დღის ჩამტარებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს კამპანიას მილიონობით ხელმოწერის შეგროვებისათვის.

„დეილი უორკერი" იუწყება, რომ მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის ლივსდენის (ჰარტფორდშირის საგრაფო) განყოფილებამ ერთსულოვნად მოიწონა პეტიცია და მოუწოდებს ფირმა „დე ჰევილენდ ეირკრაფტ კომპანის" საამქროთა მამასახლისებს მოაწყონ ხელმოწერათა მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის შეგროვება.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობის მოწოდება დასავლეთ გერმანიის მშრომელთადმი

ბერლინი, 20 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" იუწყება, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურმა გამგეობამ 1 მაისის მომავალ დღესასწაულთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მოწოდება დასავლეთ გერმანიის ყველა მშრომელისადმი. მოწოდებაში ნათქვამია: „1950 წლის 1 მაისი, პირველ რიგში, მშვიდობისათვის ბრძოლის დღეა...

თქვენს მხარეზეა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ხუთი მილიონი წევრი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის 80 მილიონი წევრი. თქვენს ბრძოლაში რაც უფრო მჭიდროდ გაერთიანდებით ჩვენთან, მით უფრო ძლიერი იქნებით, მით უფრო მეტი იქნება იმის შანსები, რომ ერთობლივად ავიცილოთ თავიდან ახალი ომი".

მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ყველა მშრომელის ერთობლივი მოქმედება. 1950 წლის 1 მაისი ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლის ნიშნით ჩატარდება.

დასასრულ მოწოდება მიმართავს დასავლეთ გერმანიის მშრომელებს შექმნან მშვიდობის დაცვის კომიტეტები ყველა საწარმოში, აქტიურად დაუჭირონ მხარი ატომური იარაღის აკრძალვისათვის ხელმოწერის შეგროვებას, ხელი შეუშალონ სამხედრო მასალების გადაზიდვას და დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნას.

გროსმაისტერთა საერთაშორისო ტურნირი

ბუდაპეშტი, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო ჭადრაკის ტურნირზე გათამაშდა მეხუთე და მეექვსე ტურის გადადებული პარტიები [illegible] პარტია 75-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ზუსტი დაცვით სმისლოვმა მოიგერია საბოს ყველა იერიში და თამაში ყაიმით დამთავრდა. ჩინებულად ითამაშა კოტოვმა საბოს წინააღმდეგ. საბჭოთა გროსმაისტერმა კარგად გამოიყენა შავი ფიგურების უხერხული განლაგება, მოიგო პაიკი და თანდათანობით დაიკავა ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი. შეუპოვარი შეტევის შემდეგ საბო იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

დაუმთავრებელი დარჩა ნაიდორფ-შტალბერგის მეექვსე ტურის გადადებული პარტია.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სესია

ორშაბათს, 24 აპრილს, დღის 12 საათზე შედგება საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელზეც განხილული იქნება აგრონომიული, ტექნიკური, სატყეო-სამეურნეო და სხვა სექციების მუშაობის საკითხები.

სესიის სხდომები შედგება ინსტიტუტის მთავარ კორპუსში და გასტანს 29 აპრილამდე.

დონბასელ მეშახტეთა ანსამბლის კონცერტები ტყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქს ეწვია დონბასის მეშახტეთა ცეკვისა და სიმღერების ანსამბლი 110 კაცის შემადგენლობით (ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ბალშინი).

ანსამბლმა კონცერტები გამართა ტყიბულის ყველა შახტში. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

ჭიათურა. (საკ. კორ.). 15 აპრილიდან ზესტაფონში დაიწყო ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის თეატრის გასტროლები. თეატრი მაყურებელს უჩვენებს თავისი რეპერტუარის საუკეთესო დადგმებს: ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებს", კ. სიმონოვის „სხვის ჩრდილს", ვ. პატარაიას „ურა ურარდის", გ. მდივნის „ვარდის" და სხვ.

თეატრი ზესტაფონში 20 დღეს დარჩება.

თეატრებში

23 აპრილს: **ოპერისა და ბალეტის**—„სევილიელი დალაქი" (მე-11 აბ. მე-12 სპექტაკლი, ა. პიროგოვის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ოტელო" (დღისით), „ჩვენ მხარეში" (მე-3 სერიის მე-10 სპექტაკლი და მე-15 სერიის მე-9 სპექტაკლი, საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ახალი ფუძე" (დღისით და საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—„ბედნიერება" (დღისით), „ხელსაყრელ ადგილზე" (საღამოს); **სომხური დრამის**—„მზის დაბნელება" (დღისით), „ქორ-ოღლი" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „სამთა სიყვარული" (დღისით), „სიმღერა სიყვარულზე" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გაქვავებული ქალაქი" (6 აბ. 10 ს.), „კომბლე" (11 აბ 2 ს. 10 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „გორკის ბავშვობა" (106 აბ. 10 ს.), „სიმწიფის მოწმობა" (110 აბ. 2-30 წ. 8 ს.); **თოჯინების ქართული**—„ლომშა დარუბანი" (11, 4 ს.); **თოჯინების რუსული** — „ზღაპარი რუხ მგელზე" (11, 1, 3 ს).

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

კინოფილმების რადიომონტაჟი

ამ დღეებში საქართველოს რადიოკომიტეტის რადიოინფორმაციის ლიტერატურულ-დრამატიულმა რედაქციამ გადმოსცა რადიომონტაჟი — თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის მხატვრული ფილმები „ბედნიერი შეხვედრა" და „ქეთო და კოტე".

კინოსურათის რადიოგადაცემა ერთგვარ დაბრკოლებათა გადალახვასთან არის დაკავშირებული, რადგან კინოფილმი ძირითადად მხედველობისა და სმენის აღქმით უჩვენებს მაყურებელს მასში აღბეჭდილ მოქმედებას, რადიო კი მხოლოდ სმენითი აღქმით აძლევს მსმენელს გადმოცემულ მასალაში გარკვევის შესაძლებლობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კინომონტაჟის ავტორებმა (მონტაჟის რეჟისორი დ. ძიგუა, მონტაჟის ოპერატორი ს. ხატიაშვილი, ტონმეისტერი თ. მდივანი, დიქტორის ტექსტის წამყვანი ელ. ტაბლიაშვილი) ეს სიძნელენი დაძლიეს.

ახლო მომავლისათვის მზადდება კინოფილმების „პოეტის აკვანი", „ბერლინის დაცემა" (ქართული ვარიანტი) და სხვათა კინომონტაჟი.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

კოოპერაციული ქონების დამტაცებლები ღირსეულად დაისაჯნენ

გასული წლის 12 სექტემბერს ღამით ძველხიბულის (ხობის რაიონი) სასოფლო მაღაზია ცეცხლის ალში გაეხვია.

— მიშველეთ, ყაჩაღები დამესხნენ, ვიღუპები, თავში ხელს იცემდა მაღაზიის გამგე-გამყიდველი ბ. ი. კიტია. იგი მელიას თვალებით დაჰყურებდა ფერფლადქცეულ საქონელს, თან თავისთვის ბუტბუტებდა: როგორც იქნა, მეშველა, ვინ მიხვდება, რამდენი ათასი მანეთის საქონელი მქონდა, ვინ გაიგებს, მე შევჭამე თუ ცეცხლმა შთანთქა.

ბოროტმოქმედის კომბინაციას ფარდა ახადეს: რევიზიით და ექსპერტიზით გამოვლინდა დანაკლისი 60.008 მანეთი. ისიც დადასტურდა, რომ მაღაზიას ხანძარი „დანაკლისის დაფარვის" მიზნით თვით ბ. კიტიამ გაუჩინა.

ამავე რაიონის ქარიატის სასოფლო მაღაზიის გამგე-გამყიდველმა დ. შამუგიამ 122.032 მანეთი მიითვისა. ბოროტმოქმედს ხელს უწყობდა ხობის რაიკოოპკავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე მ. პ. ღურწკაია. იგი ძმაბიჭებთან ერთად ფლანგავდა სახელმწიფო ქონებას, ათასგვარ კომბინაციებს აკეთებდა, ქრთამებს იღებდა, მარტო სასადილოს გამგე ზერაიას ერთხელ 7.000 მანეთი გამოართვა. ბოროტმოქმედთა ჯგუფმა სახელმწიფოს 590.000 მანეთის ზარალი მიაყენა.

დამნაშავენი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

ამ დღეებში ბოროტმოქმედთა საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. ი. ყაველაშვილის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ბ. ი. კიტიას, დ. დ. შამუგიას და მ. პ. ღურწკაიას მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა; ე. პ. ნარსიას—12 წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

დანარჩენ ბოროტმოქმედთ სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდათ.

ა. სხვაველი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წლის 3 მაისს, დღის 1 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **კ. ი. ქავთარაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლენინი და სტალინი ბურჟუაზიული და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ი. ი. ტალახაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ხ. სიმონგულოვი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

[illegible]

ვ. ორბელაძე, ვ. ნადირაძე, გ. ტოგონიძე, ზ. მეავაი, ვ. ბეზხმერტნი, ე. პენტელ ე. ოსიპოვა, ვ. დუმბაძე, მ. ჩიქობავა, ზ. აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ ინჟინერ კაკო ჭელიძეს მისი დედის **ელენე ალექსანდრეს ასულ ჭელიძის** გარდაცვალების გამო.

ა. ქელიძე, ს. კერვალიშვილი, ქ. რაზმაძე, ი. მანუკოვი, ი. ქრისტინაშვილი, ი. გურგენიძე, დ. თავართქილაძე, ვ. პეშტმალჯიანი, [illegible]

რესპუბლიკური თვალის სნეულებათა კლინიკური საავადმყოფოს ექიმები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ი. ა. სიხარულიძეს **იოსებ კონსტანტინეს-ძე ხიდირბეგიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ხუციშვილს მისი დედის **მარიამ გრიგოლის ასულ ხუციშვილის** გარდაცვალების გამო.

ე. ცერცვაძე, ა. ედიბერიძე, თ. ცქიტიშვილი, ე. ნიორაძე, თ. ქვანია, გ. გურგენიძე, შ. ხაჭაპურიძე, ა. გოგოლაშვილი, ე. აბაშიძე, შ. რობიტაშვილი, ვ. გურგენაძე, ს. შავკაციშვილი ოჯახებით იუწყებიან **ილია როხაპის-ძე ქაჯაიას** გარდაცვალებას.

ტრიფონ და ლია ჭელიძეები იუწყებიან რძლის **ელენე კალანდაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-IV, 5 ს. კლარა ცეტკინის, 118.

[illegible]

სალომე, ვალოდია, ცუცა, გუგული, ბესიკ და ნუგეშა ჩიგოგიძეები იუწყებიან **მიხეილ იოსების-ძე ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23-IV, 3 ს. ლენინის, 26.

„ზაგოტჟივსირიოს" საქართველოს კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **მიხეილ იოსების-ძე ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23-IV, 3 ს. ლენინის, 26.

[illegible]

[illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.